რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის
2000 წლის 3 მაისის N 274 – IIს დადგენილებით

წამებისა და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის აღკვეთის ევროპული კონვენციის ოქმი № 2

სტრასბურგი, 4.XI.1993

ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფობი, რომლებმაც ხელი მოაწერეს 1987 წლის 26 ნოემბერს ხელმოწერილი წამებისა და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის პრევენციის ევროპული კონვენციის (შემდგომში "კონვენცია) ამ ოქმს, დარწმუნდნენ რა, რომ სასურველია წამებისა და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტის (შემდგომში "კომიტეტის) წევრებს მიეცეთ ორჯერ ხელახლა არჩევის უფლება;
ასევე ითვალისწინებენ რა კომიტეტის შემადგენლობის სათანადოდ განახლების უზრუნველყოფის აუცილებლობას, შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი 1
1. მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის მეორე წინადადება ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
"ისინი შეიძლება ორჯერ იქნან ხელახლა არჩეულნი."
2. კონვენციის მე-5 მუხლს დაემატოს შემდეგი რედაქციის მე-4 და მე-5 პუნქტები:
3. იმისათვის, რომ მაქსიმალურად იქნას უზრუნველყოფილი კომიტეტის შემადგენლობის ნახევრის განახლება ყოველ ორ წელიწადში, შემდგომი არჩევნების ჩატარებამდე მინისტრთა კომიტეტს შეუძლია გადაწყვიტოს, რომ ერთი ან მეტი ასარჩევი წევრის უფლებამოსილების ვადა იყოს არა ოთხი, არამედ არაუმეტეს ექვსი და არანაკლებ ორი წელი.
4. იმ შემთხვევაში, როდესაც სახეზე იქნება ერთზე მეტი უფლებამოსილების ვადა და მინისტრთა კომიტეტი გამოიყენებს წინა პუნქტს, უფლებამოსილების ვადის დადგენა მოხდება გენერალური მდივნის მიერ არჩევნების შემდეგ წილისყრის დაუყოვნებლივ ჩატარებით."

მუხლი 2
1. ეს ოქმი ღიაა ხელმოსაწერად ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოებისათვის, რომლებმაც ხელი მოაწერეს კონვენციას და რომლებსაც შეუძლიათ განაცხადონ თავიანთი თანხმობა იყვნენ ვალდებულნი ოქმით:
ა) ხელმოწერის საშუალებით რატიფიკაციის, მიღების ან დამტკიცების მიმართ დათქმების გარეშე; ან
ბ) ხელმოწერის საშუალებით, რომელიც ექვემდებარება რატიფიკაციას, მიღებას ან დამტკიცებას და
რომელსაც უნდა მოსდევდეს რატიფიკაცია, მიღება ან დამტკიცება.
2. სარატიფიკაციო, მიღების ან დამტკიცების სიგელები შესანახად ბარდება ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს.

მუხლი 3
ეს ოქმი ძალაში შედის იმ თვის პირველ დღეს, რომელის მოსდევს სამთვიანი ვადის

ამოწურვას თარიღიდან, როდესაც კონვენციის ყველა მხარე განაცხადებს თავის თანხმობას იყოს ვალდებული ოქმით მე-2 მუხლის დებულებათა შესაბამისად.

მუხლი 4
ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი შეატყობინებს ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებს:
ა) ნებისმიერი ხელმოწერის შესახებ;
ბ) ნებისმიერი სარატიფიკაციო, მიღების ან დამტკიცების სიგელის შესანახად ჩაბარების შესახებ;
გ) მე-3 მუხლის შესაბამისად ამ ოქმის ძალაში შესვლის ნებისმიერი თარიღის შესახებ;
დ) ნებისმიერი სხვა აქტის, შეტყობინების ან კომუნიკაციის შესახებ, რომელიც შეხებაშია ამ ოქმთან.

ამის დასტურად ქვემორე ხელმომწერებმა, რომლებიც სათანადოდ იყვნენ რწმუნებულნი, ხელი მოაწერეს ამ ოქმს.

შესრულებულია სტრასბურგში 1993 წლის ნოემბრის მე-4 დღეს ფრანგულ და ინგლისურ ენებზე, ორივე ტექსტი არის თანაბრად აუთენტური შედგენილი თითო ეგზემპლარად, რომელიც ინახება ევროპის საბჭოს არქივებში. ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი გადასცემს დამოწმებულ ასლებს ევროპის საბჭოს თითოეულ წევრ სახელმწიფოს.